საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/49

ქ. ბათუმი 23- მარტი, 2021 წ.

,,2020-2021 სასწავლო წელს ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის 2021 წლის 19 მარტის N255472 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2020-2021 სასწავლო წელს ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/11 ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება სტუდენტურ პორტალზე იწარმოოს - **2021 წლის 7 თებერვლიდან 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით;"**

2. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს (თ. სირაძე, ნ. წიკლაშვილი), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, იურიდიულ დეპარტამენტსა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ.N30)
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**